

პროექტი APProach: სათანადო ცოდნა, გამოცდილება და რეალური გაუმჯობესება ევროკავშირის მოქალაქეების მობილობის მხარდასაჭერად ევროპის თემებში

რამდენად შეუძლიათ თემებს მხარი დაუჭიროონ ევროკავშირის მოქალაქეების მობილობას (EUMC) და როგორ განიცდიან ეს უკანასკნელნი წევრი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლას, განსაკუთრებით ციფრულ ეპოქაში სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით?

პროექტმა [APProach](#) წარმატებით უპასუხა ამ გამოწვევებს, რითაც სურს შეამციროს ბარიერი მოქალაქეებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ამის აღმოსაფხვრელად, ევროკავშირის მოქალაქეები დასახმარებლად, რომლებიც აწყდებიან დაბრკოლებებს ოჯახებთან ერთად ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადასვლისას, შეიქმნა **სპეციალური ციფრული ეკოსისტემა**. ეს დაბრკოლებები შექმნა იყოს შემდეგი: ცუდი ადმინისტრაციული მომსახურება, სოციალური ჩართულობა, ბავშვის სკოლაში შეყვანა, დამატებითი მოთხოვნები ევროპარლამენტში და მუნიციპალურ არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოსაპოვებლად ან კანდიდატად დასარეგისტრირებლად.

მართლაც, პროექტის (APProach) ციფრული ეკოსისტემა უზრუნველყოფს **სწრაფ წვდომას და ინფორმაციის მიღებას ხმის მიცემის, განათლების, სამოქალაქო და სოციალური ცხოვრების შესახებ**. ასევე, თუ როგორ დაიწყოთ მუშაობა იმ ქალაქში რომელიც გამაჰინძრობთ!

ციფრული ეკოსისტემის წვლილი მართლაც ღირებულო და სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის... მაგრამ მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ.

2018 წლიდან დაწყებული, სურვილი იმისა, რომ გაზრდილიყო ცოდნა ევროკავშირის იმ მოქალაქეების უფლებების შესახებ, რომლებიც გადადიან სხვა ქვეყნებში და ასევე, ინფორმაციის გასაზიარებლად იმ ბიუროკრატიული ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც მოქალაქეები აწყდებიან, აღნიშნულმა პროექტმა დაინახა ექვსი მუნიციპალიტეტის შეკრების საჭიროება, რათა დახმარებოდნენ ახალ ევროპელებს.

პროექტის APProach ციფრული ეკოსისტემა: წყარო იმისა, რომ მიიღოთ ინფორმაცია ხმის მიცემის, განათლების, სამოქალაქო და სოციალური ცხოვრების შესახებ

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული და მოგვარებული გამოწვევების მიუხედავად, COVID-19-მა დიდი გავლენა მოახდინა ამ ინიციატივაზე, ისევე როგორც ბევრ სხვაზე. ამრიგად, მთელ პროექტზე დიდი გავლენა იქონია ამ უზარმაზარმა ჯანდაცვის კრიზისმა, თუმცა პროექტის პარტნიორები ამ გამოწვევამ ვერ შეაშინა.

[2021 წლის მარტში სამი ვებინარის სესიით დასრულდა პროექტი](#), სადაც განიხილეს არა მხოლოდ მოქალაქეობის კონცეფცია; არამედ COVID-19-ის გავლენა ციფრულ ინსტრუმენტებზე და სამოქალაქო მონაწილეობის ახალ ფორმებზე, როგორცაა ელექტრონული ხმის მიცემა.

ზოგადი პერსპექტივიდან, მიღწევების შეჯამებით შეიძლება გამოვყოთ ხუთი მთავარი პრიორიტეტი:

1. **საზოგადოება და ქსელი:** რომელთაც აქვს დამატებითი ღირებულება, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტურობის, გამოწვევების ასახვისა და ანალიზის დროს, მაშინ როდესაც მიესალმება ევროკავშირის მოქალაქეების მობილობას;
2. **ციფრული ეკოსისტემა:** წარმოადგენს ახალ საკომუნიკაციო ინსტრუმენტს და საბოლოო წყაროს მუნიციპალიტეტებისთვის და ევროკავშირის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც მობილობით გადადიან სხვა ქვეყანაში;
3. **ხილვადობა და კომუნიკაცია:** განხორციელდა რამდენიმე შუალედური აქტივობა, მცირე ვიდეოებიდან დაწყებული რეპორტაჟებით და სიახლეებით დამთავრებული პროექტის ღირებულების და მისის გასავრცელებლად;
4. **ტრენინგი:** ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რაც ხელს უწყობს „ევროპის მოქალაქეების“ განმარტების უკეთ გაგებასა და განხორციელებას;
5. **კონკრეტულობა:** მუნიციპალიტეტების პერსონალის 60 ადამიანი დასაქმდა, რითაც ისარგებლა 7500 ევროპის მოქალაქემ (განაცხადის მითითებები).

თუ შემოადინებულ პრიორიტეტები კონკრეტულად დაკავშირებული იყო თავად პროექტის თავისებურებებთან, აღსანიშნავია პარტნიორების მიერ განხორციელებული ცალკეული ქმედებები, რაც უკავშირდება პროექტის საერთო მიზნების მიღწევას.

მეხუთე საკითხთან, კონკრეტულობასთან დაკავშირებით ევროკავშირის პარლამენტისა და ადმინისტრაციული არჩევნების პერიოდში, პროექტმა (APProach) დიდი მხარდაჭერა გაუწია ევროკავშირის მოქალაქეების მობილობას **მილანის მუნიციპალიტეტში**.

ანალოგიურად, პორტუგალიის დედაქალაქ **ლისაბონში** Erasmus-ის სტუდენტები წარმოადგენენ მოქალაქეების მობილობის დიდ პროცენტს: ამიტომ, მუნიციპალიტეტმა, პროექტის მიერ შემუშავებული პოზიტიური ინსტრუმენტის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი სწორედ ამ ახალი სტუდენტების მხარდასაჭერად მიმართა.

გარდა ამისა, უფრო მეტად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან, **ასოციაციის (ALDA) როლის გათვალისწინებით ევროპის მომავლის კონფერენციაში**, ისევე როგორც მთავარი დაინტერესებული მხარე დემოკრატიის ხელშეწყობისა და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით, **ასოციაციამ გაიზიარა პროექტის (APProach) დადებითი გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, როდესაც საქმე ეხება დემოკრატია და დიგიტალიზაციას შორის კავშირს, განსაკუთრებით მოქალაქეობის კუთხით.**

ამრიგად, [ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული მხარდაჭერის](#) ინიციატივით, პროექტის სრულყოფისთვის „*აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემოდან ქვევით მიდგომა, რომელიც მოდის სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ქვემოდან ზევით მიდგომა, რომელიც მოდის მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან, მაშინ როდესაც საქმე ეხება ციფრულ ინსტრუმენტებს მოქალაქეთა უფლებების გასაუმჯობესებლად*“.

მთლიანობაში, მიუხედავად COVID-19-ით გამოწვეული შემთხვევითი კრიზისისა, პარტნიორებმა მოახერხეს არა მხოლოდ საწყისი მიზნების მიღწევა, არამედ ცალკეულმა პარტნიორმა რომელიც შთაგონებული იყო პროექტით, შეძლეს სრულად პროექტის განხორციელება ადგილობრივ დონეზე და ამავედროულად გააძლიერეს ევროკავშირის მოქალაქეების მობილობა.

სასარგებლო ბმულები:

- [ენჯიეთ პროექტის APProach ციფრულ ეკოსისტემას](#)
- [შეამოწმეთ ანგარიშები და სიახლეები პროექტის შესახებ](#)
- [გადახედეთ აქტივობებს](#)